



საქართველო  
ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულო  
საკრებულოს წევრი  
GEORGIA  
Rustavi Municipality City Assembly  
Member of Assembly

---

N 16264-02  
31/10/2019

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის  
პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს  
ქალბატონ სოფიო კარანაძეს

ქალბატონო სოფიო,

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საქართველოს ორგანული  
კანონის 88-ე მუხლის შესაბამისად წარმოგიდგენთ საკრებულოს წევრის მიერ გაწეული  
მუშაობის შესახებ ანგარიშს.

გთხოვთ უზრუნველყოთ ინფორმაციის გამოქვეყნება.

დანართი: 7 ფურცელი.

პატივისცემით,

დავით იშხნელი

სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე  
ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულო



# საქართველო

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

GEORGIA

RUSTAVI CITY MUNICIPALITY COUNCIL

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული

მუშაობის შესახებ

ა ნ გ ა რ ი შ ი

საკრებულოს წევრის სახელი, გვარი:

დავით იშხნელი

საანგარიშო პერიოდი:

1.11.2018 – 01.11.2019

თანამდებობა:

1. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მე-6 მოწვევის საკრებულოს წევრი;
2. სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
3. ფრაქცია „ქართული ოცნების“ წევრი;

კომისი(ებ)ის დასახელება:

1. საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;

დროებითი სამუშაო ჯგუფები:

1. საერთაშორისო ურთიერთობების შემსწავლელი დროებითი სამუშაო ჯგუფის წევრი;

❖ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა:

საკრებულოს სხდომების რაოდენობა: 26 სხდომა (12 რიგითი, 14 რიგგარეშე);

საკრებულოს სხდომებზე დასწრება: 24 სხდომა;

ბიუროს სხდომების რაოდენობა: 26 სხდომა;

ბიუროს სხდომებზე დასწრება: 22 სხდომა;

---

❖ საკრებულოს სხდომებზე სამართლებრივი აქტების რაოდენობა:

74 დადგენილება;

162 განკარგულება;

---

❖ მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების, ფრაქციებისა და დროებითი სამუშაო ჯგუფების მუშაობაში მონაწილეობა:

ა) კომისიები:

▪ სოციალურ საკითხთა კომისია

ჩატრადა - 9 სხდომა;

დასწრება - 9 სხდომა;

თავჯდომარეობა - 9

---

ბ) დროებითი სამუშაო ჯგუფები:

- რუსთავის განვითარების, ტურიზმის და საერთაშორისო

ურთიერთობების შემსწავლელი დროებითი სამუშაო ჯგუფი:

ჩატარდა - 4 სხდომა;

დასწრება - 4 სხდომა;

- ვეტერანთა საკითხების შემსწავლელი დროებითი სამუშაო ჯგუფი:

ჩატარდა - 1 სხდომა

დასწრება - 1 სხდომა

თავჯდომარეობა - 1 სხდომა

- ❖ ფრაქცია „ქართლი ოცნება -

მწვანეები“ ჩატარდა - 1 სხდომა;

- 
- ❖ ჩართულობა ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიაში მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილების განხორციელების მიზნით მომუშავე სამუშაო ჯგუფებში, კომისიებსა და საბჭოებში:

1. „მოქალაქეთა ინდივიდუალური სამედიცინო დახმარების დროებითი სათათბირო-საკონსულტაციო ჯგუფის წევრი“;

2. „უფასო სასაბუღალტრო მომსახურების პროგრამის სათათბირო-საკონსულტაციო ჯგუფის წევრი“;

3. „ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის უსახლკაროთა თავშესაფრით უზრუნველყოფის და რეგისტრაციის მიზნით შექმნილ დროებითი სამუშაო ჯგუფის წევრი“;

4. „ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს წევრი;“
  5. „უსახლკარო პირთა დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფის კომისიის წევრი;“
  6. „საპატიო წოდების მინიჭებაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფის წევრი;“
  7. „სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან გასული ახალგაზრდების დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებში შექმნილი სამუშაო ჯგუფის წევრი;“
  8. „ქალაქ რუსთავის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე დაურეგისტრირებელი ფართების მოქალაქეებისათვის საკუთრებაში გადაცემის ხელშეწყობის მიზნით აღრიცხვის და არსებული მდგომარეობის შესწავლის მიზნით შექმნილ სამუშაო ჯგუფის წევრი;“
  9. „შპს „ლურჯ მარკეტში“ გაჩენილი ხანძრის შედეგად მოვაჭრეებისათვის მიყენებული მატერიალური ზიანის შეფასების და შემდგომი შესაბამისი სალიკვიდაციო ღონისძიებების შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის წევრი;“
- 

❖ **მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხები:**

ა) ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცება;

ბ) ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების დამტკიცება;

გ) ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული პროექტების დამტკიცება;

დ) ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის მიზნით მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ნუსხის დამტკიცება და მიწის ნორმატიული ფასის დადგენა;

ე) სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი 2018 – 2019 წლის ინფრასტრუქტურული პროექტები.

---

❖ მივლინებები

ა) საფრანგეთი, ქალაქი ლურდი

ქალაქებს შორის კულტურულ-მეგობრული ურთიერთობის დამყარებისა და ტურიზმის განვითარების გამოცდილების გაზიარების მიზნით;

---

❖ საკრებულოს წევრის მიერ სააგნარიშო პერიოდში განხორციელებული სხვა საქმიანობა

საკრებულოს წევრის საქმიანობა წარმართება საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2014 წლის 4 აგვისტოს N1 დადგენილებით დამტკიცებული „რეგლამენტი“ და სხვა ნორმატიული აქტებით.

წინა წელს ქ. რუსთავის მერიასა და საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის ხელმოწერილი მემორანდუმის ფარგლებში, ჩვენი ქალაქის სკოლების ფიზიკური აღზრდის პედაგოგებს ჩაუტარდათ კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები და მიიღეს შესაბამისი სერტიფიკატები.

ასევე, რუსთაველმა მწვრთნელებმაც მიიღეს შესაბამისი გადამზადება რათა აემალეზინათ თავისი პროფესიული უნარ-ჩვევები შესაბამისი სპორტის სახეობების მიხედვით.

გასულ წელს, სკოლებში ჩატარებული სამედიცინო კვლევების (სქოლიოზი, კიფოზი, ბრტყელტერფიანობა) შედეგებიდან გამომდინარე, გეგმაში გვექონდა დაწყებითი კლასების პედაგოგების და სკოლის ექიმების გადამზადებაც, შესაბამისი კუთხით, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო ეს ვერ მოხერხდა, მაგრამ იმედი გვაქვს, მომავალ წელს, ამასაც გავუკეთებთ ორგანიზებას.

ჩვენი სამუშაო ჯგუფის აქტიურობიდან გამომდინარე, მზად არის კრივის დარბაზის ხარჯთაღრიცხვა შესაბამისი ექსპერტიზის დასკვნით და ველოდებით ტენდერის შედეგებს, ასევე, ჩვენი სამუშაო ჯგუფი აქტიურად იყო ჩართული მწვრთნელებისათვის ხელფასის განმსაზღვრელი სქემის შემუშავებაში, რომელიც იანვრიდან ამოქმედდება.

სპორტული კომისიის ინიციატივით შეირჩა 6 საპილოტე სკოლა, სადაც მოხდება მინი სპორტული დარბაზების მოწყობა. ამჟამად მოხერხდა მხოლოდ მე-18 სკოლაში. ვაგრძელებთ მუშაობას დარჩენილ სკოლებში მოხდეს დარბაზების გარემონტება.

მიმდინარე წელს, ქალაქის ცენტრალურ საავადმყოფოში ჩატარდა უფასო სკრინინგ პროგრამა, ბალების, ბიბლიოთეკის, მერიისა და საკრებულოს, სამუსიკო სკოლების ხელოვნების თანამშრომლებისთვის და პედაგოგებისთვის კვლევის ფარგლებში ჩატარდა პაპილომა და მამოგრაფიული კვლევა სამიზნე პირებისთვის.

ჩემი ინიციატივით სოციალურ პროგრამაში მოხდა ცვლილების დამატება დიაბეტით დაავადებული ბავშვებისათვის სადიაგნოსტიკო ჩხირების შექმნა და უფასოდ გადაცემა.

ჩემი ინიციატივით და კლინიკა რუსთავის მხარდაჭერით მრავალშვილიანი დედებისთვის ჩატარდა უფასო კვლევა.

---

## ❖ მოსახლეობასთან შეხვედრები

ა) დაგეგმილი შეხვედრა -32

ბ) მოსახლეობის თხოვნით უბნებში ვიზიტი -21